

ჩვენ ვთავაზობთ შემდეგ სერვისებს:
WE OFFER YOU FOLLOWING SERVICES:

ლანდშაფტის დიზაინი/
 Design of a Landscape



გაშენების დაგეგმარება/
 Planning of cultivation

ნიადაგის შესწავლა/
 Research of soil

ნოყიერი მიწის ნაზავის მოწოდება/
 Delivering of fertile soil

ფართობის მომზადება ნერგების დასარგავად/
 Preparing the space for sapling

ნერგების ტრანსპორტირება/
 Transportation of sapling

ნერგების დარგვა და გრძელვადიანი მოვლა/
 Sapling planting and long-time nursing

გამოცდილი დიზაინერების და მეზღვეების
 პროფესიონალური კონსულტაცია/
 Professional consulting
 of qualified designer and gardeners



შპს "საქართველოს მარანი" ^{137/1581}
 საქართველო, 0179 თბილისი,

შპს "საქართველოს მარანი"
 საქართველო, ^{PX 4833/1}
 აღმაშენებლის ხეივანი,
 ა/გ "გრეკო"-ს მიმდებარე ტერიტორია
 ტელ: +995 595 536 537
 +995 595 534 134

Mob.: +995 599 39 65 57
 Email: saqartvelos-marani@web.ge



www.nergebi.ge


საქართველოს
 მატარნი
 საწარმო
 სანერგე მწარმოებელი

**SAKARTVELO
 MARANI**
 SAPLING NURSERY




"საქართველოს მარანი"-ს გააჩნია ერთ-ერთი უდიდესი და მრავალფეროვანი სანერგე მეურნეობა საქართველოში, სადაც ხდება დეკორატიული, ფოთლოვანი, წიწვოვანი და ენდემური ხე-მცენარეების და აგრეთვე ხეხილის ჯიშების გამოყვანა.

"Sakartvelos Marani" owns one of the biggest and various sapling nursery in Georgia, where is done preparations of decorative, coniferous, leafy and under others endemic tree species as well as fruit trees.



ჩვენ შეგვიძლია შემოგთავაზოთ მინიმალურ ფასებში უმაღლესი ხარისხის სხვადასხვა სახეობის და სტანდარტების ნერგების ფართო არჩევანი, ნებისმიერი რაოდენობის და წლის ნებისმიერ პერიოდში.

We are able to offer you a wide choice of various species and standard saplings of highest quality in minimal prices, in any quantity and any time of the year.



ჩვენ გამოგვყავს აგრეთვე ვაზის როგორც ცნობილი, ასევე ძველი, მივიწყებული უნიკალური ქართული და ცნობილი ევროპული ჯიშები.

We also propagate the well known vine species as well as old forgotten unique Georgian and European ones.



"საქართველოს მარანი"-ს ერთ-ერთი პროპრიეტეტია დაამყაროს საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტი და განახორციელოს ერთობლივი პროექტები საქართველოს უნიკალური ბუნების გადასარჩენად.

One of the priorities of "Sakartvelos Marani" is to get into close contact with international organizations and fulfill the joint projects for saving Georgian unique nature.



№	დასახელება		სიმაღლე	ფასი დღგ-ს ჩათვლით
			მ.	ლარი
16	მარადმწვანე კიპაროსი	Cupressus sempervirens	0.20 - 0.50	0.70 - 1.80
17	აღმოსავლეთის ტუია	Thuia occidentalis	0.15 - 0.25	3.00 - 3.50
18	კოლხური ბზა	Buxus colchica		
19	კვიღო	Ligustrum vulgare	0.60 - 0.70	1.00 - 1.50
20	ჩვეულებრივი ბროწეული	Pinica granatum	0.80 - 1.00	5.00 - 5.50
21	პირამიდული ვერხვი	Populus pyramidalis	1.80 - 2.50	1.50 - 2.00
22	წყავი	Laurocerasus officinalis		
23	ქაცვი	Hippophae rhamnoides	0.60 - 1.50	2.00 - 3.00
24	ტირიფი მტირალა	Salix caprea	1.80 - 2.50	1.50 - 2.00
25	კორპის მუხა	Quercus sobar	0.80 - 1.00	2.00 - 2.50
26	საკმელის ხე	Pistacia mutica	0.30 - 0.80	20.00
27	კავკასიური ცაცხვი	Tilia caucasica	0.20 - 0.80	2.00 - 2.50
28	შავი ფიჭვი	Pinus nigra	1.00 - 1.50	
29	ჩვეულებრივი ფიჭვი	Pinus sosnowski	1.00 - 1.50	
30	არყის ხე	Betula pendula		
31	უზანი	Viburnum lantana		
32	დეკა	Rhododendron caucasicum		

№	დასახელება		სიმაღლე	ფასი დღგ-ს ჩათვლით
			მ.	ლარი
1	ღიადი ბოყვი	Acer Velutinum	0.40 - 0.80	3.00 - 3.50
2	მინდვრის ნაკერჩხალი	Acer Campestre	0.80 - 1.00	2.00 - 2.50
3	ჩვეულებრივი წაბლი	Castanea sativa	0.80 - 1.00	3.00 - 3.50
4	ჩვეულებრივი ცხენის წაბლი	Aesculus hippocastanum	0.40 - 0.80	2.00 - 2.50
5	მახვილნაყოფა იფანი	Fraxinus excelsior	0.10 - 1.00	2.00 - 3.00
6	კავკასიური აკაკი	Caltis caucasica	0.80 - 1.00	3.00 - 3.50
7	ტყემალი	Prunus divaricata		
8	ჭალის მუხა	Quercus longipes	0.40 - 0.60	2.00 - 2.50
9	მუხა ქართული	Quercus iberica	0.20 - 0.60	2.00 - 2.50
10	ჩვეულებრივი კაკალი	Juglans regia	0.20 - 0.60	2.00 - 2.50
11	პეკანი ნამდვილი	Caria pekana	0.30 - 0.60	2.00 - 3.00
12	ელდარის ფიჭვი	Pinus eldarica		
13	აღმოსავლეთის ნაძვი	Picea orientalis		
14	კავკასიური სოჭი	Abies nordmanniana		
15	ჰიმალაის კედარი	Cedrus deodara		

ი 28/1581 PX 4840/1.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ტყეები

მოვლა აღდგენა გაუმჯობესება

დამატებითი ინფორმაციისათვის
მიმართეთ
კავკასიის გარემოსდაცვით
ორგანიზაციებს ქსელს (CENN)



ტელ: +995 32 923946; ფაქსი: +995 32 923947
info@cenn.org; www.cenn.org

პროექტი
ჰარმონია



აშშ სოფლის
მეურნეობის
დეპარტამენტი



აშშ საელჩო



შპს გონი





გავუფრთხილდეთ ტყის!

ტყე საქართველოს ეროვნული საგანძურია, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს კავკასიის რეგიონისათვის. ადგილობრივი მოსახლეობისათვის ტყე ძირითად სასიცოცხლო წყაროს და კულტურული ტრადიციების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ტყის რესურსები ასევე ქვეყნის ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს სექტორად აცხადებენ.

ერთის მხრივ, ტყის, როგორც ეროვნული საგანძურის, რესურსი არ არის განუსაზღვრელი. მეორეს მხრივ, მოსახლეობის მოთხოვნილების ზრდა ტყის რესურსებზე და, ამავდროულად, ტყის რესურსების არამდგრადი მართვა იწვევს ტყის რესურსების რაოდენობის თანდათანობით შემცირებას საქართველოში.

თუმცა ჯერ ყველაფერი დაკარგული არ არის: ტყეების შესანარჩუნებლად და ტყის ფართობების განაშენიანებისაკენ მიმართული აქტიური ღონისძიებები უთუოდ შეუწყობს ხელს საქართველოს ტყეების გადარჩენას და აღდგენას. ტყეების შენარჩუნებას და აღდგენას უდავოდ დიდი სარგებელი აქვს და გამოიხატება მრავალი სხვადასხვა ფაქტორით, როგორცაა: ჯანსაღი გარემო, სუფთა წყალი, ნოყიერი და სტაბილური

ნიადაგი, რაც ადგილობრივ მოსახლეობას უქმნის მდგრად და ჭანსალ საცხოვრებელ გარემოს.

ტყის აღდგენითი სამუშაოები ხელს უწყობს ტყის დეგრადაციის შედეგად წარმოქმნილი ტყის ცალკეული ფართობების და დაცული ტერიტორიების ფრაგმენტების დაკავშირებას და ველური ბუნებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი კორიდორების აღდგენას. ტყის ლანდშაფტის გონივრული მართვა ამცირებს მკაცრი კლიმატური პირობების უარყოფით ზეგავლენას და აძლიერებს ბუნების მდგრადობას გლობალური კლიმატური ცვლილებების მიმართ.

გარდა ამისა, ტყის ეკოსისტემის შენარჩუნებას და მასივების აღდგენას აქვს მნიშვნელოვანი დადებითი ეკონომიკური შედეგი. თუ ქვეყანა გადადგამს აქტიურ ნაბიჯებს ტყის აღდგენა-გადარჩენისათვის, შედეგად შეიქმნება სანერგეები. სანერგეები, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, ხელს უწყობენ განვითარებას ადგილობრივ დონეზე და ქმნიან დამატებით სამუშაო ადგილებს ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

გვჯერა, რომ საქართველო უახლოეს მომავალში შეიმუშავებს ტყის რესურსების მდგრადი მართვისა და დაგეგმარების პოლიტიკას და განახორციელებს ტყის რესურსების მდგრადი სარგებლობის პრაქტიკას, რაც ხელს შეუწყობს არამართო გარემოს დაცვას, არამედ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

უნდა აღინიშნოს, რომ ტყის გამოხშირვა და მოვლითი ჭრა ხელს უწყობს ტყის გაჭანსაღების პროცესს, რადგანაც აუცილებელია, ტყეს ჩაუტარდეს დაცვითი სამუშაოები (გამოხშირვა, სანიტარული და მოვლითი ჭრა და სხვა). იმ შემთხვევაში, თუ ტყის ბუნებრივი რეგენერაცია არ არის საკმარისი, ტყის მოვლითი ჭრა უნდა მიმდინარეობდეს ტყის სათანადო სახეობებით აღდგენით საქმიანობებთან ერთად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ტყის რესურსების სტაბილური აღდგენა.




ფოთლოვანი და ნიწოვანი ხეები

საქართველოში არსებულ ხეთა სახეობები იყოფა ორ ჯგუფად ფოთლოვანად და წიწვოვანად.

ფოთლოვან ხეებს აგრეთვე უწოდებენ ფართო-ფოთლოვანს იმიტომ, რომ მათი ფოთლები უფრო ფართოა და, შესაბამისად, მეტი ზედაპირი აქვთ ფოტოსინთეზისათვის, თუმცა მსგავსი სახის ფოთლოვანი უფრო ნაზია და რთულად იტანს ზამთრის ცივ პირობებს. ამიტომ ფართოფოთლოვანი ხეები ზამთრის სეზონის დადგომასთან ერთად კარგავენ ფოთლებს და დროებით ძილს მიეცემათ.

წიწვოვან ხეებს აქვთ ნემსისებური ფოთლები, რომლებსაც მთელი წლის განმავლობაში ინარჩუნებენ და კარგავენ მხოლოდ ძველ წიწვებს, რომლებიც ხის ქვედა ნაწილშია და ნაკლები მზე ხვდება წლის განმავლობაში. ყველაზე ცნობილი წიწვოვანი სახეობის ხეებია: ნაძვი, ფიჭვი და სოჭი.

ბევრი წიწვოვანი ხე ზამთრის განმავლობაში ინარჩუნებს სიმწვანეს, ამიტომ მათ მარადმწვანე ხეებს უწოდებენ.



ტყის მასივების განადგურება

1989 წლიდან ტყის რესურსების არასწორმა მართვამ, იმპორტის შეჩერებამ, ტყეების დაავადებამ, რომელიც გამოწვეულია ახალი პარაზიტების შემოსევით, ხეების ინტენსიურმა (კანონიერმა თუ უკანონომ) გაჩეხვამ, ხელი შეუწყო საქართველოს ტყის მასივების განადგურებას.

დღესდღეობით რეალურ საფრთხეს ინდუსტრიული გაჩეხვა წარმოადგენს, განსაკუთრებით, ტყის უკანონო ჭრები. მაგალითად მოვიყვანთ იმ შემთხვევებს, როცა დაუგეგმავად და უკანონოდ იჩეხება ტყის მასივები მთაში და შემდეგ ხის მორების დაცურება (მორთრევა) ხდება მთის კალთებზე, ყველანაირი გარემოსდაცვითი ნორმების გათვალისწინების გარეშე. საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია ტყის ჭრა დაქანების 35°-ის ზევით და მორთრევა ფერდობის დაქანების 30°-ის ზევით. ასეთ ფერდობებზე ხე-ტყის მორთრევა იწვევს ნიადაგის ეროზიის, ზვავების და მეწყერების საშიშროებას და წყალდიდობების პროცესებს.

ვინაიდან ნორჩი ხეები ხშირად ვერ ცვლიან მთლიანად გაჩეხილ ხეებს, ეკოსისტემა ზიანდება, ნიადაგი განიცდის ეროზიას, რის შედეგადაც შეიძლება ტყე მთლიანად გაქრეს.

გამომდინარე იქიდან, რომ ტყეზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, ხეების უკანონო გაჩეხვა წარმოადგენს სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პრობლემას. ტყის მასივების დეგრადაციას მოაქვს ბევრი უარყოფითი შედეგი, ის იწვევს ნიადაგის გამოფიტვას და მის შემდგომ გაუდაზნობას. ტყის მასივების შემცირება იწვევს მეტყევეთა სამუშაო ადგილების შემცირებას. მეჩხერ ტყეში ძლიერი წვიმა და კაშკაშა მზე სწრაფად აზიანებენ ნიადაგის ზედა ფენას. ასეთ მდგომარეობაში ტყეს გაცილებით მეტი დრო სჭირდება აღსადგენად, ამავდროულად კი, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, შეუძლებელია ამ მიწის ფართობის გამოყენება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის. ამის გამო ზარალდება ეკოტურის ზმის სექტორიც. ტყის მარაგი ყოველთვის წარმოადგენს გაცილებით უფრო მაღალ ფასეულობას, ვიდრე ხეტყე მასალა.

ტყის მასივების განადგურება იწვევს ბუნებრივი კლიმატის გამკაცრებასა და გაუარესებას; იზრდება წყალდიდობისა და გვალვის საშიშროება. ტყეები წარმოადგენს ნახშირბადის ერთგვარ „საცავს“, რომელიც გამოიყოფა ხის მოჭრისა და დაწვის პროცესში. ამასთანავე, შეიძლება შემცირდეს ან საერთოდ დაიკარგოს ხის სახეობათა და გენეტიკური მრავალფეროვნება. ტყის პირწმინდა ჭრა იწვევს ეროზიას და ქმნის მეწყერის საშიშროებას. ტყეები დიდ როლს თამაშობს მეთევზეობის განვითარებაში. ტყის გაჩეხვა პირდაპირი და არაპირდაპირი გზებით ზეგავლენას ახდენს თევზის ქვირითობის ადგილებზე, რადგანაც არასწორი ჭრები ხელს უწყობს მეწყერსაშიში ზონების

წარმოქმნას, მდინარის არხების გადაკეტვას, წყლის ტემპერატურის აწევასა და წყლის დონის ამოღობას. ტყის მასივების განადგურებამ გაუთვალისწინებელ შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს.

თითოეული ჩვენგანი უდავოდ გრძნობს პასუხისმგებლობას ტყის დაცვასა და ეკოლოგიურ კრიზისთან დაკავშირებით. ნათელია, რომ აუცილებელია გავერთიანდეთ და ჩვენი წვლილი შევიტანოთ ტყის მოვლისა და რესურსების სწორი გამოყენების პროცესში. მხოლოდ გაერთიანებული ძალებით თუ შევძლებთ დავიცვათ ტყეები, წინააღმდეგ შემთხვევაში დღესდღეობით არსებული ულამაზესი ლანდშაფტით დაფარული ტყე შეიძლება უდაბნოდ გადაგვექცეს.



რა შეგვიძლია გავაკეთოთ




ჩვენ ყველა პასუხისმგებელი ვართ, დავიცვათ ტყე განადგურებისაგან და თავიდან ავიცილოთ ეკოლოგიური კრიზისი. ამისათვის აუცილებელია გავერთიანდეთ და მთელი ძალისხმევა მივმართოთ ტყეების შენარჩუნებასა და აღსუსხების, მდგრად და გონივრულ გამოყენებაზე.

საერთაშორისო
საგარეო
საგადასახლება
საგადასახლება

- შევაჩეროთ დანაგვიანება: ცნობილია, რომ ნარჩენები მავნებელია როგორც გარემოსთვის, ასევე მოსახლეობისთვის. ბიოდეგრადირებადი ნივთიერებები იზიდავს პარაზიტებს, რომლებიც სხვადასხვა ვირუსებს ავრცელებენ, ხოლო არადეგრადირებადი ნივთიერებები, როგორცაა მაგალითად, პლასტმასა, ნელ-ნელა წამლავენ ნიადაგსა და წყალს ტოქსინებით, რაც იწვევს ძლიერ უარყოფით ზეგავლენას: კლავს მცენარეს, ცხოველს და ადამიანს.
- გარემოს დაბინძურებისა და დანაგვიანების თავიდან აცილება საკმაოდ ძვირია. კვლევები გვიჩვენებს, რომ ნაგვისა და ნარჩენების გადასაყრელად ხალხი უმეტეს შემთხვევაში იყენებს უკვე დანაგვიანებულ ან მოუვლელ ტერიტორიებს, რაც თავის მხრივ უფრო აბინძურებს გარემოს.
- ზემოთქმულიდან გამომდინარე, დანაგვიანება ხელს უშლის ტურიზმისა და ბიზნესის განვითარებას და შესაბამისად, ძალიან დიდ ზარალს აყენებს ქვეყნის ეკონომიკას.
- ხეების დარგვა (გაშენება): ტყის აღდგენა-გაშენებას, ქალაქების პარკებისა და ბაღების გამწვანებას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს როგორც გარემოს დაცვის, ასევე ეკონომიკის განვითარების საქმეში. ხეების გაშენება და გამწვანება ხელს უწყობს მტკნარი წყლის მარაგის შენარჩუნებას, ნიადაგის სტაბილიზებას და ეხმარება ადგილობრივ მოსახლეობას, იცხოვრონ ნორმალურ პირობებში. ყოველი გაჩეხილი ხის ადგილას უნდა დაირგას ორი ახალი ხე. ხეების დარგვისა და გამწვანების პროცესში რაც შეიძლება მეტი,

- სხვადასხვა ასაკის ადამიანი უნდა ჩაერთოს, რითაც ისინი უდიდეს სარგებელს მოუტანენ მომავალ თაობებს.
- პასუხისმგებლობა: 90-იანი წლებიდან საქართველოში გაჩეხილი ხეების რაოდენობა 10-ჯერ გაიზარდა. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ყოველწლიურად, საშუალოდ 2.5 მილიონი მ³ იჩეხება, რის შედეგადაც საქართველოდან არაკანონიერი გზით ხეების 40% იქნა გატანილი.
- თუმცა აღსანიშნავია, რომ სწორად დაგეგმილი ტყის მართვის პოლიტიკა და, შესაბამისად, მდგრადი ტყითსარგებლობა ხელს შეუწყობს არა მარტო ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და კანონიერი ექსპორტის ზრდას, არამედ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ტყის ფართობების შენახვისა და განახლების პროცესში.
- ეკოტურიზმი: ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ უდიდეს პოტენციალს წარმოადგენს. დანაგვიანება და გარემოს დაბინძურება აზიანებს ტყეს და ხელს უშლის ტურიზმის სექტორის განვითარებას, რის შედეგადაც მცირდება მოგება ტურიზმის სფეროდან და მასთან დაკავშირებული სამუშაო ადგილების რაოდენობა.
- გავაქტიურდეთ: არსებული არასასურველი მდგომარეობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიცვლება, თუ თითოეული ჩვენგანი იგრძნობს მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას და საკუთარ წვლილს შეიტანს გარემოს დაცვის საქმეში. ნებისმიერი ქმედება, როგორცაა ნაგვის სათანადო ადგილას გადაყრა, ტყის ან ბაღების დასუფთავების ორგანიზება, მთავრობისადმი მიმართვა არაკანონიერი გაჩეხვების შეჩერებისკენ და სხვა, იქნება სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი. გავაქტიურდეთ და მონაწილეობა მივიღოთ ტყის გადარჩენის პროცესში, სანამ არ არის გვიან.



ტყე და ეკოსისტემა

ტყე არ წარმოადგენს მარტოდენ ხეთა ჯგუფს. ტყე არის ეკოსისტემის უნიკალური ტიპი და გლობალური გარემოს მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი.

ტყეს, როგორც ეკოსისტემას, მნიშვნელოვანი სასიცოცხლო როლი აქვს ველური ბუნებისათვის. ადამიანებისათვის ტყის ეკოსისტემის დაცვა და

გაფრთხილება ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგანაც ტყე ისევე სასიცოხლო მნიშვნელობისაა ადამიანისათვის, როგორც სხვა ცოცხალი ორგანიზმისათვის.

ტყეს ადამიანისათვის აქვს ესთეტიკური, რეკრეაციული, ეკონომიკური, ისტორიული, კულტურული და რელიგიური ფასეულობა. ტყის მერქნული და არამერქნული პროდუქტი მნიშვნელოვანია, როგორც ადგილობრივი ბაზრის, ასევე ექსპორტისათვის. ტყე წარმოადგენს დასაქმების წყაროს მათთვის, ვინც შეშის ან ტყის სხვა პროდუქტების მოპოვებითაა დაკავებული. ტყის რესურსებს იყენებენ მონადირეები, სოკოს, კენკროვანი და სამკურნალო მცენარეების შემგროვებლები. ასევე გამოსადეგია ტყის სხვა არამერქნული პროდუქტები, რომლებსაც ადამიანები იყენებენ სამედიცინო დანიშნულებით, ან ქსოვილებისა და საღებავების წარმოებისას. ბევრი ადამიანის ცხოვრება მთლიანად არის დამოკიდებული ტყის რესურსების გამოყენებაზე. დედამიწაზე მცხოვრები მოსახლეობის ერთი მესამედისათვის ტყე წარმოადგენს ენერჯის მნიშვნელოვან წყაროს. ტყეზე საგრძნობლადაა დამოკიდებული ეკოტურიზმის განვითარება, რომელშიც შედის როგორც ლაშქრობებისა და ბანაკების, ასევე სხვადასხვა სახის სათავგადასავლო ღონისძიებების მოწყობა, ფრინველებზე დაკვირვება და ბუნების შემსწავლელი კვლევითი საქმიანობები.

ტყე იცავს ნიადაგს ეროზიისაგან და ამცირებს მეწყერებისა და ზვავების საშიშროებას. იგი აკონტროლებს და უზრუნველყოფს წვიმის წყლის ჩადინებას მიწის ქვეშ და ასევე იმას, თუ რა რაოდენობის წყლები ჩაედინება წყალგამყოფ აუზებში. ტყე უზრუნველყოფს მტკნარი წყლების მარაგის დაცვას და ამით მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის სასიცოცხლო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ამასთანავე, ტყე ზეგავლენას ახდენს კლიმატზე და წარმოადგენს ჟანგბადის მნიშვნელოვან წყაროს. მაგრამ, სამწუხაროდ, დღესდღეობით ტყეს, რომელსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აკისრია როგორც გლობალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე და რომელიც ამდენ სარგებელს გვაძლევს, საფრთხე ემუქრება. თუ ადამიანს ამხელა ზიანის მოტანა შეუძლია ტყისათვის, მას ასევე ძალუძს მოახდინოს დადებითი ეფექტი ასეთ კრიზისულ მომენტში.

ეროვნული
ბიგლირთქა